სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

14 მარტი 2024

N 21/2659

შპს „რაჭა ენერჯის“

ელ. ფოსტა: Andreas.Nirnberger@voltares.com

tsotne.beradze@geopro.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი N2402 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, მდინარე რიონზე 8.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სახელმწიფო ტყის საზღვრებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, ასევე დაზუსტებას საჭიროებს სახელმწიფო ტყის ტერიტორიის ფართობი. **ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად „თუ დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება და ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას საჭიროებს, საქმიანობის განმახორციელებელმა სკოპინგის ანგარიშს უნდა დაურთოს ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ“;**
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის ტიპის გათვალისწინებით, დაგეგმილი არ არის სადაწნეო მილსადენის მოწყობა, თუმცა დოკუმენტში არაერთხელაა აღნიშნული სადაწნეო მილსადენის გამოყენების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებული ინფორმაცია თევზსავალის სიგრძის შესახებ არ არის შესაბამისობაში shp ფაილებთან და საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს თევზსავალის სათავე ნაგებობასთან დაკავშირების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი ნიშნულების მითითებით);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია როგორც საპროექტო ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ნიშნულების, ასევე ჰესის დადგმული სიმძლავრისა და ელექტროენერგიის გამომუშავების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დასაზუსტებელია თევზსავალში გასატარებელი ხარჯის რაოდენობა, კერძოდ: გვ. 39-ზე მითითებულია, რომ თევზსავალში გასატარებელი ხარჯი იქნება 350 ლ/წმ, ასევე გვ. 130-ზე აღნიშნულია, რომ თევზსავალში მოხდება 0,5 $მ^3$/წმ ხარჯის გატარება;

- ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის სქემატური ნახაზები (მათ შორის, ჰესის შეტბორვის კონტური) არ არის თანხვედრაში shp ფაილებთან. ასევე, ზოგიერთი სქემატური ნახაზი წარმოდგენილია დაბალი გარჩევადობით (რეზოლუციით) და არ ახლავს ექსპლიკაცია. გარდა ამისა, დასაზუსტებელია თევზამრიდი ნაგებობის სქემატური ნახაზი;
- სკოპინგის ანგარიშში არასრულყოფილადაა წარმოდგენილი დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია ინფორმაცია, „ხაშური-ახალციხე-ახალქალაქის“ საავტომობილო გზის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე მოეწყობა ბეტონის საწარმო, თუმცა წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, დაგეგმილია ცემენტის საწარმოს მოწყობა, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი;
- დასაზუსტებელია „CSR“ ჰესის (1,3 მგვტ სიმძლავრით) განთავსების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „CSR“ ჰესი განთავსდება მთავარი ჰესის კომპლექსიდან დაახლოებით 150 მეტრში, თუმცა shp ფაილების მიხედვით, CSR ჰესისა და მთავარი ჰესს შორის არსებული მანძილი დაახლოებით 105 მეტრს შეადგენს;
- დასაზუსტებელია „CSR“ ჰესში გამოსაყენებელი ტურბინისა და ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ ინფორმაცია, ასევე „CSR“ ჰესში გასატარებელი წყლის ხარჯის შესახებ წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საპროექტო კაშხლის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ (სიმაღლე, სიგანე და სხვ.). ასევე, სკოპინგის ანგარიშით გათვალისწინებული ინფორმაცია (მათ შორის კაშხლის ფიზიკური მახასიათებლები) თანხვედრაში უნდა იყოს shp ფაილთან;
- სკოპინგის ანგარიშში ჰესის სახელწოდებად მითითებულია „რაჭა ჰესი“ და „რიონი ჰესი“, შესაბამისად დასაზუსტებელია დაგეგმილი საქმიანობის დასახელება;
- დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშში მითითებული შემდეგი ჩანაწერი: „შეტბორვის არეალის მარჯვენა ნაპირზე არსებული საავტომობილო გზა, შეტბორვის ადგილიდან დაშორებულია დაახლოებით 5-დან 200 მეტრის მანძილით.“
- **სკოპინგის ანგარიში სტრუქტურულად გაუმართავია, მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ტექნიკურ ხარვეზებს, ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს, უსარგებლო და არარელევანტურ ინფორმაციებს. ასევე, დოკუმენტში მითითებული ინფორმაციის ნაწილი გადმოტანილია სხვა პროექტის („ასპინძა ჰესის“) სკოპინგის ანგარიშიდან, რაც არ იძლევა დოკუმენტაციის სათანადოდ შეფასების საშუალებას.**

სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების/მოთხოვნების გათვალისწინებით **გადამუშავებული** სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა, შესაბამისი გვერდების მითითებით.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო